



2023
წელი

მკს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის
შედგენის მეთოდოლოგია

მუხლი 1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს დაეხმაროს სხვადასხვა შესაძლებლობის თუ საჭიროების მქონე სტუდენტს, აქტიურად, ეფექტურად და შეუფერხებლად ჩაერთოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სასწავლო კურსების ერთობლიობა რომელიც შედგენილია სტუდენტის საჭიროების, ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად და რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ეფექტურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;

მუხლი 2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ზოგადი მოთხოვნები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურება. შესაძლებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. სტუდენტის წლიური დატვირთვა უნდა იყოს არა უმეტეს 75 კრედიტი;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, საჭიროების შესაბამისად, შესაძლებელია ზაფხულის და ზამთრის სემესტრის დაგეგმვა;

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დროს, ასევე სპეციალური საჭიროებისა და სხვადასხვა აკადემიური მომზადების დონის მქონე სტუდენტებისთვის ან/და პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში, სტუდენტის სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვის მიზნით.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის თავისებურებებს, გაწერილი უნდა იყოს დროში, უნდა იყოს მიღწევადი და რეალისტური. გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენტის ინტერესი.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების თაობაზე აუცილებელია სტუდენტის თანხმობა, რომელსაც ის ადასტურებს შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით.

6. წინამდებარე წესის მიზნებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის სირთულეს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის დროს, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევისთვის მას უსაჭიროება შესაბამისი დახმარება. ასეთი საჭიროებები მოიცავს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად წარმართვის საკითხებს, კერძოდ: დროის დაგეგმვას, კურსის განხორციელების თავისებურებას (პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მუშაობა და ა.შ.), შეფასების კომპონენტებს, გადაადგილების შესაძლებლობას და ა.შ.

მუხლი 3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები/სტრუქტურული ერთეულები არიან:

ა. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

ბ. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს კოორდინირებას უწევს დეკანის მოადგილე სასწავლო და ადმინისტრაციული მიმართულებით. დეკანის მოადგილე ადგენს გეგმის პროექტს რომელიც წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველი და პროცედურა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველია:

ა. სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სტუდენტის ოჯახური მდგომარეობა;

ბ. სპორტში ან/და ხელოვნებაში განსაკუთრებული მიღწევების მქონე სტუდენტის ხელშეწყობა;

გ. ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ერთდროულად სწავლა;

დ. სასწავლო კურსით/კურსებით გათვალისწინებული წინაპირობები რომელიც არ იძლევა მომდევნო დონის სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობას;

ე. დამამთავრებელ სემესტრზე მყოფი სტუდენტი, რომელმაც დადგინო ვადაში ვერ დააგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა;

3. ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაში;

ზ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები;

თ. შიდა/გარე მობილობა.

ი. სტუდენტის სტატუსის აღდგენა, როდესაც სტატუსის აღდგენის მომენტში შეცვლილია საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სტუდენტი აგრძელებს სწავლას.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. ეს უკანასკნელი სტუდენტის განაცხადის მიღებისთანავე, სტუდენტის დოკუმენტაციას და განაცხადს უგზავნის მოადგილეს სასწავლო და ადმინისტრაციული მიმართულებით. დეკანის მოადგილე სასწავლო და ადმინისტრაციული მიმართულებით უზრუნველყოფს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირებთან შესაბამისი კონსულტაციის წარმართვას და ადგენს გეგმის პროექტს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულია სტუდენტიც. საჭიროების შესაბამისად გეგმის შემუშავებისას შესაძლოა მოწვეულ იქნას ცალკეული სპეციალისტები (ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ა.შ)

3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება სტუდენტს და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პროგრამაში.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5 შეფასების სისტემა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანების საფუძველზე;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე შესაძლოა განესაზღვროს ინდივიდუალური სწავლების მეთოდი, შეფასების ფორმა და კომპონენტები, ასევე მიეცეს განსხვავებული საგამოცდო დრო.

მუხლი 6 სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასება

1. შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს უზურნველყოფს ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად, რის საფუძველზეც დგება ანგარიში და წარედგინება რექტორს;

2. უნივერსიტეტის რექტორი წარმოდგენილ ანგარიშს შესაფასებლად გადასცემს ვიცე რექტორებს და საჭიროების შესაბამისად შესაძლოა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება.

მუხლი 7 ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შეცვლა/გაუქმება

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია სტუდენტის ან/და დეკანის ინიციატივით;

2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების მომზადება ხდება წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, განახლებულ გეგმას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;

3. სტუდენტის მიერ არსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების სისტემატიური დარღვევა წარმოადგენს გეგმის გაუქმების საფუძველზე. საკითხის ინიციატორი შესაძლოა იყოს დეკანი. გეგმის გაუქმების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 8 დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია რექტორის ბრძანებით;

2. წესი ძალაშია რექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების ხელის მოწერის მომენტიდან.

